უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საზეიმოდ აღნიშნა რუსეთის გაქრისტიანების 1033-ე წლისთავი



2021 წლის 28 ივლისს, წმინდა მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის ხსნების დღეს და რუსეთის გაქრისტიანების 1033-ე წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კიევ-პეჩერის ლავრაში, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრისწინა მოედანზე კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ საღვთო ლიტურგია აღავლინა.

წინა დღით, ვლადიმერის გორაკზე კიევში, მან ხალხმრავალ ლოცვასა და ჯვრით მსვლელობას უხელმძღვანელა, რომელშიც 350 ათასმა მორწმუნემ მიიღო მონაწილეობა.

სადღესასწაულო საღვთო ლიტურგიაზე უნეტარეს მიტროპოლიტ ონოფრესთან ერთად თანამსახურობდნენ უმე-ს საეკლესიო სასამართლოს თავმჯდომარე კამენეც-პოდოლსკის და გოროდოკსკის მიტროპოლიტი თეოდორე, ლავრის წინამძღვარი ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა მმართველი ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი, მიტროპოლიტები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები, ასევე სტუმრები ადგილობრივი მართლმადიდებელი

ეკლესიებიდან: ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია სელევკიის ეპისკოპოს ეფრემის ხელმძღვანელობით, ანტიოქიის საპატრიარქოს წმინდა სინოდის მდივანი; სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია რემეზიანის ეპისკოპოს სტეფანესა და ტოპლიჩის ეპისკოპოს იეროთეოსის შემადგენლობით, სერბეთის პატრიაქის ვიკარიუსები; ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი პრაღის მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

ლავრაში შეიკრიბა ათასობით მორწმუნე და მომლოცველი, რომლებიც კიევში საერთო ლოცვისთვის უკრაინის სხვადასხვა რეგიონიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩავიდნენ.

ქადაგებაში უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ ისაუბრა წმინდა მთავრის ვლადიმერის როლზე უკრაინელი ხალხის სულიერ ცხოვრებაში და მოუწოდა, რომ იყვნენ მოციქულთასწორის რუსთა განმანათლებლის არა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი შთამომავლებიც. ამისთვის, აღნიშნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, აუცილებელია, ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მცნებების აღსრულება.

უნეტარესმა მიტროპოლიტმა ონოფრემ ლოცვა აღავლინა პანდემიის დასრულებისთვის. ასევე ისმოდა ლოცვა-ვედრება ექიმებისთვის და სნეულთა გამოჯანმრთელებისთვის.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ, მღვდელმსახურებმა წმინდა ვლადიმერისადმი პარაკლისი აღასრულეს წმინდანის ხატის წინაშე.

ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენლებმა მისასალმებელი სიტყვით მიმართეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს. უნეტარესმა მიტროპოლიტმა მადლობა მოახსენა სტუმრებს და მიულოცა მათ დღესასწაული, მწყემსმთავარმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოდან ჩასულ მომლოცველებს, რომლებმაც დღესასწაულის აღნიშვნაში მიიღეს მონაწილეობა, და გადასცა მათ მოკითხვა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილების ცნობით

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87810/